

F25/2
1907

ქართული
ენების
მეცნიერება
9.

მეცნიერი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი ღამსღვის ცხოვრათთვის
იოან. 10—11

№ 24

1883—1907 წ.

30 ლექსიერი

25 დეკემბერი 1907 წ.

სიტყვა.

მოგილოცავ, ძმანო ქრისტიანენო, ქრისტეს შობის დღესასწაულს, ღმერთმა მრავალს მივაგებოსთ მშვიდობით, ღრგვრტელობით და კეთილწარმატებით. დიდად სასიამოვნოა, რომ ეკლესიის ეხედვით მთლად გავსილს და ბევრს გარეთაც მღვდომს. მაგონდება ძველი ჩვენი დრო როცა ხალხი შობის დღეს უკეთესად და უფრო აღგზნებული სიყვარულობით დღესასწაულობდა. არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს დედამიწაზე, სადაც კი ქრისტიანები არიან, ღღის დღეს, დიდის სიხარულით და აღტაცებით დღესასწაულობენ. ამ დღეს ეხლანდელ დროში ევროპაში გერმანელები და ინგლისელები და ამერიკაში ამერიკელი ქრისტიანები ამ დღეს გარდამეტებით დღესასწაულობენ.

რატომ არის ასე სასიხარულო და სათაყვანებელი ქრისტეს დაბადების დღედ ევროპის და ამერიკის განათლებულ ქრისტიანე ხალხთათვის? ადვილად გავიგებთ ამას თუ კარგად გადავავლებთ თვალს და გამოვიკვლევთ ძველი დროის ხალხთა ცხოვრების ისტორიას. გადახედეთ და დააკვირდით ძველი დროის დიდებული სახელმწიფოების ხალხის ცხოვრებას ბაბილონელთა, ასირიელთა, ეგვიპტელთა და რომაელთა. რა აკლდათ მათ? არაფერი, გარდა ქრისტეს მცნებისა. შეადარეთ მათი აზროვნება, ზნე ჩვეულება და რწმენა ქრისტიანთა ზნეს, აზროვნებას, ჩვეულებას და რწმენას და თქვენ ადვილად მიხვდებით თუ რატომ დღესასწაულობენ ასე აღტაცებით ქრისტეს დაბადების დღეს განათლებული ხალხი. კარგად ესმისთ მათ თუ რა ცვლილება მოახდინა ხალხის ცხოვრებაში ქრისტეს

სწავლა-მოდვე-რებამ. დასაბამიდან ქვეყნისა არა სმენია ხალხს რაც მან უთხრა. ყოველი ღირსება და პატივი დაკარგული და დამხოზილი მამაკაცისა და დედა კაცისა აღადგინა და ზეტამდის აღამალა.

ისრაელების ხალხს ჰქონდა მიცემული ღვთიან ათი მცნება ამ მცნებათა ასრულებით იგინი ადვილად დაამყარებდნენ თვის შორის კეთილდროებას და ბედნიერ ცხოვრებას, მაგრამ ამ მცნებასთან იგინი ხმამაღლა თხოვილობდნენ მივევთ „თავლი თვალისა წილ და იკბლი კბილისა წილ..“

ვერც ერთმა ფილოსოფოსმა, ვერც ერთმა სწავლულმა ვერ უთხრა ხალხს რაც მან მოკლედ, მარტივად და ადვილ გასაგებად მოუთხრა. „შეიყვარე უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი. ნუ უზამ სხვის იმას რაც შენ არა გასურს!“ იქ სადაც მიიღეს ეს მცნება დაარსდა სამოთხე არა თუ ცათა შინა, არამედ ამ ქვეყნადვე. ქეშმარიტ ქრისტიანეთათვის დიდი ხანია დაარსდა მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება. ქრისტემ გვასწავლა ჩვენ ნამდვილი და ქეშმარიტ ერთობა, ძმობა და თანასწორობა.

ვინაც ირწმუნა და აღიარა იგი, ვინაც მიიღო მისი მცნება, შეიყვარა ღმერთი შემქმნელი და გამგენი ყოველთა არსებათა ყოვლითა გულითა თვისითა და ყოვლითა გონებითა თვისითა და მოყვასი თვისი როგორც თავი თვისი მისთვის დაბადებულა ქრისტე და დამდგარა ახალი აღთქმის-დრო, მშვიდობისა და სათნოებისა კაცთა შორის. თუ შენ, ძმანო, არა გრწამს ღმერთი და არ გიყვარს მოყვასი მაშინ შენთვის არ დაბადებულა ჯერეთ ქრისტე, შენ ისევე ძველი დროის ბნელით ხარ მოკული და ვერ მოიპოვებ მშვიდობას ქვეყანაზე და სათნოე-




ბას კაცთა რორის.

გახსოვდეს, რომ არავითარ სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობას არ შეუძლია მოგანიჭოს შენ კეთილ-დღეობა და ბედნიერი ცხოვრება, თუ არა გრწამს ღმერთი და არ აღიარებ ქრისტეს მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თვისი, ნუ უზამ იმას სხვას რაც შენ არა გსურს შენი თავისათვის“... არც ერთ სახელმწიფო სათათბიროს, რამიძარ-თულღების ხალხისაგანაც უნდა იყოს იგი პიროდგარი, არც ერთ კონსტიტუციას და რესპუბლიკას არ შეუძლია დაამყაროს სახელმწიფოში ბედნიერი ცხოვრება, მოსპოს სიღარიბე და ბოროტ-მოქმედება და ამ ქვეყანაზედვე დააარსოს სამოთხე, თუ ხალხს არა გრწამს ქრისტე და მისი მცნების უარყოფელია. ამას ცხადდ გვიმოტიკებენ უცხოეთის სახელმწიფო-ნი, სადაც ყოველგვარი ხალხის მართვა გამგეობა გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ პირველად საქიროა გულით და სულით ქრისტეს მცნების მი-ღება და აღსარება და შემდეგ მაცადინობდა, რომ დაარსებულ იქმნეს ქრისტიანული ერთობა, ძიობა და თანაწირობა...

ვეცადოთ, ძმანო, ჩვენც რომ ღირსეულად ვიღვდესასწაულოთ ქრისტეს შობა; ვეცადოთ შევი-თვისოთ მისი მცნება და აღვასრულოთ ჩვენს ცხოვრებაში, შევიყვაროთ ყოველი მოყვასი ვითარცა თავი თვისი და ნურავის უზამთ მას რაც ჩვენ არა გვსურს; ამით მოვიპოვებთ მშვიდობას და ღირსე-ულად პატივს ვსცემთ ქრისტას შობას, რომელსაც მრავალჯერ მიგვაგებოს ღმერთმან.

დტ. ღ. დამაპიძე.



რამდამთხიის აღსარება.*)

უკუღმართ მოაზრეთა გონების პატრონებმა ერთი აღიანიკოთი ასტეხეს იმაზე, თუ როგორ გაზედეთ ჩვენ გამოთქმა და დაწერა, რომ ჩვენში ვითომ იყვნენ კალმით მეომარნი და ჩვენც კალმით უნდა ვებრძოლოთო. ზოგიერთმა მეჯანბნელებმა ჩვენგან გამოთქმული სიტყვები უკუღმართად განუ-მარტეს საზოგადოებას; ივინი უმტკიცებდნენ, მათ რომ „მწყემსი“ რეტროგრადობას ურჩევს ხალხს

საო და გაზეთების წინააღმდეგ ამხედრდებოა. ჩვენ კარგად ვიყავით მიხვდარი თუ რა აზრი ჰქონდათ შედგენილი ზოგიერთ ბრმა პუბლიცისტებს 1880 წლებში სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე და სამღვდე-ლოებაზედ. ჩვენ საქმე გვქმნებოდა, რასაკვირველია, მახინჯი გონების პირებთან და არა გაზეთებთან ამისთანა ბრმა პუბლიცისტებმა ჩვენს ქართულ გა-ზეთებში „ივერიაში“ და „ისარში“ თავი იჩინეს ამ ბოლო დროს და აი რასა სწერდნენ ეს ვაჟბა-ტონები:

„სამღვდელოება-ეკლესია დღეს ერთი საქი-ბოროტო საგანთაგანია ევროპასა და რუსეთში. თანამედროვე ეკლესია ბუდდა ყოველგვარი სიბნე-ლისა და განხრწნაობისა, და ბრძოლა იმის წინა-აღმდეგ აუცილებლად საქიროა კაცობრიობის გან-თავისუფლებისათვის.“

„ქრისტიანობა პირველად პროგრესიული მო-ღენა იყო, მაგრამ იგი მალე გარყვნა სამღვდელო-ებამ, რომელმაც ეკლესია გახადა ქრისტეს წმინდა მოძღვრების დასაგმობ და შესაბორკავ იარაღად. ეკ-კლესია იყო და კიდევ არის ადამიანის სულის შემ-ბორკავი, იგი წინ ეღობებოდა ყოველ გვარ ბრძოლას ადამიანის განთავისუფლებისათვის. დღესაც უფოლგან ეკლესიის გარშემო იკრებიება მრავალი ბოროტი და ბნელი ძალა, დღეს ეკლესია-სამღვდელოება. მოკლებულია ყოველ ღირსებას, დღეს მასში ვერა ვხედავთ ვერავითარ კარგს მხარეს, რომელსაც შე-ეძლოს ცოტათი მაინც გაამართლოს მისი არსებობა. ამისათვის დროა ავხედრდეთ ეკლესიის წინააღმდეგ და სხე.“

როცა ამისთანა უმგანო და მახინჯი აზრის სტატიებს ვკითხულობთ გაზეთში, ჩვენ საქმე გვაქვს გაზეთებთან კი არა, არამედ სტატიის მახინჯ მოაზ-რე მწერლებთან, რომელთაც ისე აბნევიათ აზროვ-ნება; რომ ტაძრის კედლებს ებრძვიან. რაც ვსთქ-ვით ოცდა ხუთი წლის წინად ის სწორედ დღეს სრულდება როგორც ამას ცხადდ ხედავს ყველა. აი ამისათვის გვსურდა, რომ კალმებით მებრძოლთ კალმებითვე შეგებრძოლებოდით და ამისათვის დაგ-ვეარსებია ჟურნალი და ყველა სამღვდელოებას მიგველო მონაწილეობა. ჟურნალის ნება ჯერ კი-დევ არ გვექონდა მიღებული ღ ჯვარზე კი გაცავს!.. რა საზიზღარი ცილის წამება არ დაგვეწამა ვილაცა გარეშე მაყურებელმა იმ დროის „ივერია“-ში და

*) ის. მწყემსი № 23 1907 წ.



ბას კაცთა რორის.

გახსოვდეს, რომ არავითარ სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობას არ შეუძლია მოგანიჭოს შენ კეთილ-დღეობა და ბედნიერი ცხოვრება, თუ არა გრწამს ღმერთი და არ აღიარებ ქრისტეს მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავისი, ნუ უზმა იმას სხვას რაც შენ არა ვისურს შენი თავისათვის“... არც ერთ სახელმწიფო სათათბიროს, რომიმართულეების ხალხისაგანაც უნდა იყოს იგი შემდგარი, არც ერთ კონსტიტუციის და რესპუბლიკის არ შეუძლია დაამყაროს სახელმწიფოში ბედნიერი ცხოვრება, მოსპოს სიღარიბე და ბოროტ-მოქმედება და ამ ქვეყანაზედღე დააარსოს სამოხბე, თუ ხალხს არა გრწამს ქრისტე და მისი მცნების უარყოფელია. ამას ცხადად გვიმტკიცებენ უცხოეთის სახელმწიფონი, სადაც ყოველგვარი ხალხის მართვა გამგეობა გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ პირველად საჭიროა გულით და სულით ქრისტეს მცნების მიღება და აღსარება და შემდეგ მაკადნიობდა, რომ დაარსებულ იქმნეს ქრისტიანული ერთობა, ძმობა და თანასწორობა.

ვეცადოთ, ძმანო, ჩვენც რომ ღირსეულად ვიღვდესასწაულოთ ქრისტეს შობა; ვეცადოთ შევითვისოთ მისი მცნება და აღვასრულოთ ჩვენს ცხოვრებაში, შევიყვაროთ ყოველი მოყვასი ვითარცა თავი თავისი და ნურავის უზამთ მას რაც ჩვენ არა ვესურს; ამით მოვიპოვებთ მშვიდობას და ღირსეულად პატივს ვსცემთ ქრისტას შობას, რომელსაც მრავალჯერ მიგვაგებოს ღმერთმან.

დკტ. დ. დამაშაძე.



ჩემდაძვირის აღსარება.*)

უკუღმართ მოაზრეთა გონების პატრონებმა ერთი აღიარებით ასტეხეს იმაზე, თუ როგორ გაგებდეთ ჩვენ გამოთქმა და დაწერა, რომ ჩვენში ვითომ იყვნენ კალმით მეომარნი და ჩვენც კალმით უნდა ვებრძოლოთო. ზოგიერთმა მკლამწილებმა ჩვენგან გამოთქმული სიტყვები უკუღმართად განუმარტეს საზოგადოებას; იგინი უმტკიცებდნენ, მათ რომ „მწყემსი“ რეტორგარადობას ურჩევს ხალხ

საო და გაზეთების წინააღმდეგ ამხედრდება. ჩვენ კარგად ვიყავით მიმხვდარი თუ რა აზრი ჰქონდათ შედგენილი ზოგიერთ ბრმა პუბლიცისტებს 1880 წლებში სარწმუნოებაზე, ეკკლესიაზე და სამღვდლოებაზე. ჩვენ საქმე გვექმნებოდა, რასაკვირველია, მახინჯი გონების პირებთან და არა გაზეთებთან ამისთავი ბრმა პუბლიცისტებმა ჩვენს ქართულ გაზეთებში „ივერიაში“ და „ისარში“ თავი იჩინეს ამ ბოლო დროს და აი რასა სწერდნენ ეს ვაჟბატონები:

„სამღვდლოება-ეკკლესია დღეს ერთი საჭირო ბოროტო საგანთაგანია ევროპასა და რუსეთში. თანამედროვე ეკკლესია ბუღდა ყოველგვარი სიბნელისა და განზარწინებისა, და ბრძოლა იმის წინააღმდეგ აუცილებელია საჭიროა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.“

„ქრისტიანობა პირველად პროგრესიული მოვლენა იყო, მაგრამ იგი მალე გარყვნა სამღვდლოებაში, რომელმაც ეკკლესია გახადა ქრისტეს წმინდა მოძღვრების დასაგომბ და შესაბორკავ იარაღად. ეკკლესია იყო და კიდევ არის ადამიანის სულის შემბოროტავი, იგი წინ ეღობებოდა ყოველ გვარ ბრძოლისა ადამიანის განთავისუფლებისათვის. დღესაც ყველგან ეკკლესიის გარშემო იკრიბება მრავალი ბოროტი და ბნელი ძალა, დღეს ეკკლესია-სამღვდლოება მოკლებულია ყოველ ღირსებას, დღეს მასში ვერა ვხედავთ ვერავითარ კარგს მხარეს, რომელსაც შეეძლოს ცოტათი მაინც გაამართლოს მისი არსებობა. ამისათვის დროა ამხედრდეთ ეკკლესიის წინააღმდეგ და სხე.“

როცა ამისთანა უმგვნაო და მახინჯი აზრის სტატეებს ვკითხულობთ გაზეთში, ჩვენ საქმე გვაქვს გაზეთებთან კი არა, არამედ სტატეის მახინჯ მოაზრე მწერლებთან, რომელთაც ისე აბნევათ აზროვნება, რომ ტაძრის კედლებს ებრძვიან. რაც ესთქვითი ოცდა ხუთი წლის წინად ის სწორედ დღეს სრულდება როგორც ამას ცხადად ხედავს ყველა. აი ამისათვის გესურდა, რომ კალმებით მეგრძოლოთ კალმებითვე შეგებრძოლებოდით და ამისათვის დაგვვარსებია ჟურნალი და ყველა სამღვდლოებას მიგველო მონაწილეობა. ჟურნალის ნება ჯერ კიდევ არ გქმნარი მიღებული და ჯერაზე კი გვაცხეს!.. რასა საზიზარო ცილის წიგნება არ დაგვწამა ვიღაცა გარეშე მაყურებელმა იმ დროის „ივერია“-ში და

*) იხ. მწყემსი № 23 1907 წ.



„შრომა“-ში!.. ორივე გაზეთებს გაუგზავნეთ ჯეროვანი პასუხი, მაგრამ არ დაგვიბეჭდეს. ერთი გარეელი ვაჭბატონი იწერებოდა „ივერია“ში: რადგან დამბაშიძე ხმის არ იღებს და პასუხს არ იძლევა აღმაღ მტყუანი ყოფილაო და საზოგადოარ სასჯელს გვეჭაადებოდა. მაგრამ როცა ნებართვა მივიღეთ ჟურნალის გამოცემაზე და ჟურნალში გავეციეთ პასუხი, ბოლიში მოიხადეს და თავის მოქმედებას კიდევ ნაშობდნ...

საინტერესოა იცოდეს მკითხველმა თუ როგორ მიეგება „მწყემსი“-ს გამოცემას სამღვდლოება და საზოგადოება? ქალაქის ესრეთ წოდებული „მილილი სამღვდლოება“, რომლებთანაც ერთად თავს იგდებენ ოთხ-კლასიანები და ზოგიერთი სუსტი სემინარიელენიც, რალაცა მოუხებრებლად მიანდათ იმისთანა ჟურნალის გამოწერა, რომლის რედაქტორად სოფლის მღვდელი იყო... სოფლის სამღვდლოებაც, სემინარიაში ნასწავლნი საქიროდ არ რაცხდნენ „მწყემსი“-ს გამოწერას, რადგან სემინარიელისაგან გამოცემულ ჟურნალში, მათის აზრით საინტერესო არა იქნებოდა.რა!.. დარჩა სოფლის სამღვდლოება, რომელთაც სემინარიის სწავლა არ მიუღიათ. ესენი უმეტეს ნაწილად მოხარულნი იყვნენ ჟურნალის გამოცემაზე.

1 ოკტომბრიდან 1883 წლისა 1 იანვრამდის 1884 წ. „მწყემსი“ ყავდა ხელის მომწერლები 120. პირველი იანვრიდან 1884 წლის ბოლომდის ხელის მომწერთა რიცხვი ავიდა 250-მდე. 1885 წელში მოემატა ხელის მომწერნი ას ოცი და შექცა სულ 370. 1886 წელში ხელის მომწერთა რიცხვი ითვლებოდა 700-მდე. 1887 წელში ხელის მომწერლები იყო 800. 1888 წელში ხელის მომწერთა რიცხვი იყო 850. 1889 წელში ხელის მომწერთა რიცხვი ავიდა 900-მდე.

ერთი წელიწადი ძლივს დაგვაცალეს, რომ „დანოსი“ არ შეუტანიათ. მაგრამ ერთ ორ წელს იქით ვაგზირებს დანოსების გზაზე ექსარხოისთან. „მწყემსი“-ს ორგანოს დასწამეს სულის წარმწყმენდელი სწავლის გავრცელება! ცნზორზედაც ეკვი აიღეს და მოგვხოვეს, რომ სტატეები ქართულიდან რუსულად გვეთარგმნა და ისე წარგვედგინა სასულიერო მთავრობისათვის. ეს ძლიერ სამძიმო შეიქცა რედაქციისთვის. მეტი ღონე არ იყო რუსული გამოცემის ნებართვაც მოგვეთხოვა 1885 წელში.

მივიღეთ ნებართვა და 1885 წლიდან კიდევაც დავიწყეთ ბეჭევა. რუსული გამოცემა ერთ მანეთად გვზავნებოდათ ქართულ გამოცემის მიმღებთ და ცალკე რუსული გამოცემა ღირდა სამ მანეთად. რუსული გამოცემა ითხოვდა იმოდენივე ხარჯს რასაც ქართული, მაგრამ არც მეროცე ნაწილს ისტუმრებდა ხარჯისას. ერთ დროს ექსარხოისმა პალლადიმ გამომიცხადა, რომ მიტროპოლიტს ისილორეს სურს, რომ ღირდ ასოცელი დაბეჭდოთ მისთვის ჟურნალი „Пастырь“-იო!..

1888 წელში საქართველოს ექსარხოისმა მოიმდომა „მწყემსი“-ს გადაკეთება საექსარხოისს „ძოაბმელ“. რედაქტორად ნიშნავდა იმ დროის სემინარიის რექტორს პაისის და მე დამპირდა მის თანაშემწეობას. ამასთან გამომიცხადა, რომ თუ დავთანხმდებოდი იმ ადგილს მომცემდა თბილისის ქალაქში, რომელიცაც ვისურვებდი. მე არ დავთანხმდი არც ერთზე და არც მეორეზე. მე არ მსურდა ჩემი ორგანოს პროგრამა უმნიშვნელი ენარქიალურ ჟურნალის პროგრამით შეემეკვლა.

რექტორმან აღარ მისცა ვანსვენება ექსარხოისს. „მწყემსი“-ს ორგანო მისთვის სამწუხარო მოვლენა იყო და ერთ კრებაზე იმდენი ემუდარა დეპუტატებს, რომ ათხოვინა ოფ. ჟურნალის გამოცემა. სამღვდლოებებს დაუდო პირობა რექტორმა, რომ ჟურნალის გამოწერა სამღვდლოების სურვილით იქმნებოდა და არა ძალ-დატანებითა და ღარიბ ეკკლესიებს მუქთად, უფულოდ გაევზავნებოდა. რამდენჯერ უთხრეს დეპუტატებს, რომ მოტყუებული დარჩებითა, მაგრამ არავინ დაიჯერა... ექსარხოისმა მართლა ასე მისწერა სინოდს და გამოითხოვა ნებართვა საექსარხოისის „მოამბის“ გამოცემაზე რუსულ ენაზე. სამღვდლოებებს პირდებოდნენ რუსულ ენაზედაც გამოვა ჟურნალი და ქართულზედაც... მაგრამ, წინააღმდეგ დანაპირებისა, დავაღეს განურჩევლად ყველა ეკკლესიებს მისი გამოწერა. გამოუწერლობისათვის ბლალოჩინებს ემუქრებოდნენ დაშტრაფვით, რედაქტორს, რომ გავლენა ქონებოდა ბლალოჩინებზე ამისათვის კანტორაში წვერობა მისცეს. ბლალოჩინებმა შიშის გამოისობით ძალით გამოაწერინეს ეს ჟურნალი ყველა ეკკლესიის და სადაც ეკკლესიაში ფულები არ იყო მღვდლებს ჯამაგრებოდნ ურიცხვადენ... ჟურნალის რედაქტორმა წინადადება მისცა ბლალოჩინებს სადაც „მწყემ“-ს





იწერენ იქ საექსპარზოსოს „მომეგე“-ც გამააწერი-
ნეთო. ბევრი მღვდელი თავისი ფულით იწერდა
„მწყემს“ და როცა ძალია დატანეს „მოამბის“ გა-
მააწერაზე სულ აღარც ერთი ჟურნალი აღარ გა-
მაიწერეს.

ერთმა ექსპარზოსმა სინოდს მოახსენა: „მწყემსი“
ან დახურეთ და ან ნება მომეცით მე დაუნიშნო
მა თფილისში ცენზორებო. სინოდმა მისცა ნება,
რომ თფილისში ექსპარზოსს დაენიშნა თავის აღმო-
ჩენივით ცენზორები. უქაზით იწერებოდა ჟურნალის
სინოდი: სასურველია ერთნაირი მიმართულება მიე-
ცეს ორივე ჟურნალს და ამისათვის-კი საჭიროა
ექსპარზოსმა თფილისში დაუნიშნოს „მწყემსს“ და
„პასტირს“ ცენზორებო“. რამდენად დაცულია აქ
ლოგიკური მსჯელობა მკითხველმა საჯოს.
„მწყემსი“-ს ცენზორად დამინიშნეს დეკ. ეს. ელი-
ვი და რუსული გამოცემისათვის სემინარიის რექ-
ტორი. ამ დროდან იწყება აუწერელი უზღვეური
მდგომარეობა ჩვენ ორგანოთა ბეჭდვისა. სულ უბ-
რალო მიზეზისთვის უნდა ჩავსულიყავით თფილისში.
არ მოსწონდა ცენზორის სიტყვები: „მძობა, ერთობა,
თანასწორობა“ ღ ამისთანა უბრალო სიტყვებისათვის
შეაჩერებდნენ გამოცემას. საქაოზე როცა რამე იქ-
ნებოდა თქმული საიქიოზე ნათქვამად გადაასწორე-
ბდენ!..

ბრძანება მივიღეთ, სამრევლო სკოლების პრო-
გრამის უფარვისობაზე კონტრაქტი არ დასძრათო.
საყვედურის წერილებს კი გვწერდნენ: რატომ სკო-
ლების შესახებ არაფერს სწერთო?!

თუმცა ყოველს ნაბიჯზე წინ გველოებოდა
ათას ნაირი დაბრკოლება როგორც ცენზორების
მხრით ისე მოშურნეთა და მდინარისთაგან, მაგრამ
ჩვენ არ გაგვიშვია არც ერთი შესანიშნავი შემთხ-
ვევა სამღვდლოების შესახები, რომ არ აღგვენიშ-
ნოს და ჩვენნი აზრი არ გამოგვეთქვას. არა თუ მარტო
სასულიეროს შესახები, არამედ ზოგიერთი საერო და
საპოლიტიკო კითხვებიც არ დაგვიტოვებია უყურა-
დებოდა. წინა პირველად თითქმის ყველა გაზეთები
იპონიას დედა მიწის ზურგიდან გაქაჩაწყობებს
უწინასწარმეტყველებდნენ. „მწყემს“-მა კი ომის გა-
მოცხადებიდან ორი კვირის შემდეგ უწინასწარმეტ-
ყველო გამარჯვება. სათათბიროს დაარსება გაზეთე-
ბმა კონსტიტუციის დაარსებამ მიიღეს და ევროპიის
სახელმწიფოების მმართველ-გამგეობას შეუღარეს. ჩვენ

კი იმ აზრის ვიყავით სათათბიროზე რაც არის დღეს
იგი. ავტოკეფალობაზე, რომ სამღვდლოებამ პეტე-
რია გაგზავნა ბულოგინთან, ჩვენ სხვა აზრი გამოე-
თქვით, რასაც გვისაყვედურებდნენ კიდევ. საქმე
გადაწყვეტილი არ იყო და ქათალიკოსებმა ასარჩევ
კანდიდატებს კი ეძებდნენ!.. „მწყემსი“ ამისთანა
აჩქარებული მოქმედებისა წინააღმდეგი იყო.
განა ჩვენ მოხარული არ ვიყავით, რომ ავტო-
კეფალობა დაარსებულიყო? არც ერთს არავის სურდა
ავტოკეფალობა ისე, როგორც ჩვენ, მაგრამ იმ გზით
მოპოვება ავტოკეფალობისა, როგორც ამას ფიქრი-
ბდენ ზოგიერთები შეუძლებლად მიგვანდა და მი-
გვანდა...

ქართველი სასამღვდლოება თუმცა ბევრს მო-
ვლოდა „საქართველოს სასულიერო მოამბიდან“,
მაგრამ მწინე გამოცდილებით დარწმუნდა იმაში
რასაც წინეთ ეუბნებოდნენ მას..

გამოცხადდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.
გამოიცა მრავალი ჟურნალ-გაზეთები საერო უწყე-
ბისა. ოფიციალური ორგანო „საქართველოს მო-
მეგე“, ბოლოს ვოს—ვის ზომამდ გადაიქცა. ეს
ჟურნალი წელიწადში თითქმის ექვსი ათას მანეთად
უჯდებოდა საქართველოს ეკკლეიისთვის და სამღვდ-
ლოებას მაგრამ მაინც დაახურა.

გამოიცა თფილისის სამღვდლოებისაგან ჟურ-
ნალი „სიტყვა“, მაგრამ უსადსრობისა გამო ისიც
დაახურა.

ქუთაისის „უმალღესმა სამღვდლოებამ“ მოი-
ღობა სასულიერო ჟურნალის დაარსება, მაგრამ
თავისი სურვილი შეაჩერეს ქათალიკოსის დანიშ-
ნამდე!..


თფილისის სამღვდლოების კომიტეტმა, რომე-
ლიც დანიშნული იყო ექსპარზოსის აღექვისაგან,
შეადგინა „მშვენიერი“ პროექტი ჟურნალის დაარ-
სების შესახებ. ჟურნალი მათის აზრით უნდა გამო-
ცემულიყო რუსულ, ქართულ და ოსურ ენაზე,
ბევრი იზრომეს კომიტეტის წევრებმა სამ ენაზე
გამოსაცემ ჟურნალის დასაარსებლად და, სამწუხ-
არად წევრებისა ექსპარზოსი აღექვი გადაყვანილ
იქმნა რუსეთში და დარჩა ეს პროექტი შეუსრულე-
ბლად. მასრამ უკანასკნელმა კრებამ თავი გამოიჩინა.
დასახელეს პასუხის მგებელ რედაქტორად მ. მ. და
ჩიჯავაძე. როგორც სწინს სამღვდლოებას სურს
ჟურნალის გამოცემა რუსულ ენაზე ისიც ძალით



უნდა გამოაწერინონ სამღვდლოებას. რომ ის ქართული არ იქნება იქილამ სხანს, რომ პასუხის მგებელ რედაქტორად მიხაილოვსკი დაასახელეს. ვნახოთ რა გამოვა მისაგან...

ერთად ერთი „მწყესი“ დარჩა და გამოდის მცირე ჯგუფის სამღვდლოების ხელის მომწერლებით და მათი თანაგრძობით, დიდი უმეტესობა ჩვენ ქართველთა სამღვდლოებისა სრულებით საჭიროდ არ რაცხს ყურნალ-გაზეთების კითხვას და გონებით ვარჯიშობას.

უკანასკნელად უნდა ვღვივართ რომ დიდი დახმარება გავციწო საკუთარი სტამბის შექმნამ. ამ სტამბის მეოხებით „მწყესი“-ს რედაქციამ შესძლო სხვადასხვა სასარგებლო წიგნაკების გამოცემა ასი ათასობით და გაავრცელება მათი ხალხში.



ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების შესწორების გამო.

ამ წინა თვეებში გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ დაარსებულია კომისია ქართული საეკლესიო, საღვთის-მსახური წიგნების შესასწორებლად. ვისაც წაუკითხავს ჩვენი საეკლესიო წიგნები, ის უმეტესად, სცნობს მათი შესწორების აუცილებელს საჭიროებას.—მაგრამ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს შესწორება? ჩვენ გვსურს ამაზე გაუზიაროთ აზრი ჩვენი ყველას, ვისაც შესტიკვა გული ჩვენს საგრო და საეკლესიო საქმეებზე.*)

ქართული საეკლესიო, საღვთის-მსახური წიგნები გადმოთარგმნილი არიან ბერძნულიდან; ჩვენ შევადარეთ ზოგიერთი ქართული საეკლესიო წიგნები ბერძნულსა და სლავიანურს წიგნებს და აღმოჩნდა, რომ ქართული თარგმანი არ არის ზოგან ასო ასოდ გადმოღებული ბერძნულიდან; ქართველ მთარგმნელს უმეტესი და უმთავრესი ყურადღება მიუქცეოდა სვალობისა, გინა ლოცვის დედა აზრისთვის და ცდილა ეს დედა აზრი ბერძნულად შედგენილი ლოცვისა გადმოეყვანა მშვენიერი ქართული ენით და ამასთანავე, თანხმად ქართული

გარმატიკის კანონების მოთხოვნისა და სანაქებოდც შეუსრულებოდა ეს ცდა; ქართული თარგმანი არ მისდევს უფლავან ბერძნულს ტექსტს მონაწიდე და ეს არის, ჩვენი აზრით, უადრესი და უდიდესი დინება მისი. ყოველივე ჩვენი ცდა მიმართული უნდა იყო იმაზე, რომ შეუნარჩუნოთ ქართულს თარგმანს თავისებურობა და არ დაუხლოვოთ იგი ასო ასოდ ბერძნულს და ამ რიგად არ დაუმონაოთ იგი მას. ქართული თარგმანი საეკლესიო წიგნებისა წარმოადგენს მშვენიერს ნიმუშს თარგმნილი ლიტერატურისას ქართულ ლიტერატურის ისტორიაში და ვისაც უნდა კარგად შესწავლა ამ ლიტერატურისა, ვერ აუქცევს გვერდს საეკლესიო წიგნებს.

საეკლესიო საღვთის-მსახური წიგნების სლავიანური თარგმანის შესწორების მომხრენი ამ თარგმანის დიდ ნაკლად სთვლიან მისს სიტყვა-სიტყვით მიყოლას. ბერძნული ორიგინალისა თვით სიტყვების დაწყება, დაღაგებაშიაც კი აუცილობელ საჭიროებად მიიჩიათ სრული მოსობა ამ მონაწიდე მიზანებისა ბერძნულის ტექსტისა და კონსტრუქციისა; ამ აზრისანი არიან განსვენებული ეპისკოპოზები აგვისტინე და თეოფანე დაყუდებული, რომლებიც დიდ ავტორიტეტებად ითვლებიან საეკლესიო წიგნთა შესწორების საქმეში (მათი სტატები ამ საკითხის შესახებ დაბეჭდილია ყურნალებში *Душеполезное чтение* და *Труды Киевской дух. Академии* 1883 წ. ბევრი სწავლულ რუსთავანი ამასაც კი სცილობს, რომ საეკლესიო წიგნები გადმოიღონ ეხლანდელს ცოცხალ რუსულს ენაზე და ამითი გააადვილონ საეკლესიო წიგნების კითხვა და გაეცა მსმენელ-მკითხველთათვის; დაიბეჭდა კიდევ რუსულად თარგმანი ზოგიერთი წიგნებისა (*Вѣра и Разумъ* 1904 г.) ჩვენი თარგმანი კი, ღვთის მადლით, თავისუფალია სლავიანურის თარგმანის ნაკლისაგან და ისევე ადვილად არის ვასაგები ეხლაც, როგორც თვით თარგმანის დროსაც; ეს, ჩვენი აზრით, დიდი ღირსებად თარგმანისა; ზოგი ადგილი საეკლესიო, საღვთის-მსახური წიგნებისა ისე მშვენიერად არის გადმოთარგმნილი, რომ მკითხველს ეგონება პირდაპირ ქართულად შედგენილია და არა თარგმანი.

*) ზოგიერთ ბტონებს წიგნების გასწორება კი არა აქვთ სახეში, არამედ წიგნების ბეჭდვა ვადიტიანო მოსკოვის სტამბაში და ცოტა რამ ისარგებლონ...

რედ.

სურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ხშირად არის, რომ ბერძნულ-სლავიანურს წიგნებში სხვა კანონია (საგალობელი) დადებული, ქართულში კი დღევ სხვაა და აღნიშნულიც არის ქართულში გვერდზე, რომ ბერძნულში სხვა საგალობლებია; ხშირად საგალობელში მხოლოდ რამოდენიმე სტლის პირია ერთი და იგივე, სხვები კი სულ სხვა-დასხვაა; ხშირად ქართულში აკლია ზოგი ტროპრები საგალობლებში (კანონში), ხშირად მეტიც არის ბერძნულზე და სლავიანურზე; ჩვენ არა გვეჩინია, რომ ეს მოვლენა იყოს შემთხვევითი.—

მღვდლის ანდერძის აგებაში, მაგალითად, „იკოსებში“, რომელიც დადებულია საგალობლის გათავების შემდეგ ქართულ კურთხევანში მთელი რვა „იკოსა“ მეტია შედარებით ბერძნულ და სლავიანურ კურთხევებთან. (ჩვენა გვაქვს ბერძნული კურთხევანი: „გეხოლოგიონ ტო შვეა“, ვამ. ათინაში 1902 წ. და სლავიანური გამოცემული მოსკოვში 1873 წ.) მაგრამ ეს ქართული კურთხევანის (იხილე დიდი კურთხევანი) „მეტი იკოსები“ იზოვება ბერძნულს XVI საუკუნის ხელთნაწერ კურთხევანებში (ეცხოლოგიავენებში), რომლებიც დაცული არიან პატრიარხის და ათინის წიგთ-საცუებში. (იხ. Дмитриевскій Описание литургических рукописей Востока Т. II. еххологiонъ, Кiевъ) სიანს, მაშასადამე, რომ ქართველი მთარგმნელი მღვდლის ანდერძის წესისა ხელმძღვანელობდა XVI საუკუნის კურთხევანის ვარიანტით; ეს კიდევ გვაფიქრებინებს და ჭკუაზედაც ახლოს, რომ შეიძლება სხვა წიგნების დაწესების თარგმნის დროსაც ქართველი მთარგმნელი სხვა და სხვა ბერძნული ვარიანტებით სარგებლობდა და იქნება ამითი აიხსნას ეს სხვა და სხვაობა და გარჩევა ქართულსა და ბერძნულს საეკლესიო საღვთისმსახურო წიგნთა შორის.

საუბედუროდ, ჩვენ არა გვაქვს მეცნიერულად შესწავლილი ისტორია ჩვენი საეკლესიო წიგნების თარგმანისა; ჩვენ ვცით მხოლოდ, რომ ბერძნულად არის გადმოთარგმნილი; მაგრამ რა ცვლილება მიიღო ამ თარგმანმა სხვა და სხვა დროს შესწორების გამო, რომელ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ეს თარგმანი? ყოველივე ამის ცოდნა და შესწავლა აუცილებლად საჭიროა წიგნების შესწორების დროს. საეკლესიო წიგნებს და თარგმანის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა-გამოკ-

ლევა აგვისნის და ცხად ყოფს ჩვენს წიგნებში ბევრს იმისთანა მოვლენას, რომელიც ეხლა ჩვენთვის სრულიად გაუგებარი არის და აუხსნელი; ეს შესწავლა ცხადად დაგვანახებებს, რისგან არის რომ ბერძნულში ერთია საგალობელი და ქართულში კი მეორე, რისგან არის, რომ საგალობლის ერთია ნობის დროსაც კი ზოგიერთი სტლის პირები სხვა და სხვა? ეს შესწავლა ცხადად დაგვანახებებს, რისგან არის, რომ მედლის ანდერძში ქართულში რვა იკოსით მეტია შედარებით იმ კურთხევანთან, რომელიც ეხლა იხმარება საბერძნეთის ეკლესიაში; რისგან არის, რომ ზეთის კურთხევის წესში შეტანილია კონდაკები სუკტი ცხოვლისა და წმ. ნინასა (ნაციონალური ელემენტი?) რისგან არის, რომ წესი, რომელიც აღესრულების „წვიმიანი შემთხვევის დროს“ ქართულ კურთხევანში ბერძნულიდან კი არ არის ნათარგმნი არამედ შედგენილია ქართულთა მნათობის ნიკოლოზისგან? ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა მოვექცეთ ჩვენს საეკლესიო წიგნებს მათი შესწორების დროს. რომ ქვეყნის მასხარად არ გავხდეთ. ღვთის მადლით, შეგვიძლიან შესწავლა წიგნების თარგმნის ისტორიისა, თუ მოვისურვებთ.*)

ჩემის აზრით, ქართული საეკლესიო წიგნების შემსწორებლებმა უნდა შეასწორონ ამ წიგნებში მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც გაუგებრად და ბუნდოვნად არიან გადმოცემულნი; ისინი უნდა ეცადნენ ლოცვები და საგალობლები ადვილ გასაგებად გახადონ მკითხველ-მსმენელისათვის; ამისათვის, გარდა ზემოთქმულისა, საჭიროა ზოგიერთი დაძველებული და ხმარებისაგან გასული სიტყვები შეცვალონ ახლებით, რომლებიც ეხლა იხმარებიან და ესმით კიდევ ხალხს; ლოცვაში არ უნდა იყოს აზრი წინააღმდეგი ეკლესიის სწავლისა ზ ბერძნული ორიგინალისა. სიტყვების დაწევა დალაგება უნდა ემორჩილებოდეს ქართული გრამატიკის კანონებს, საჭიროა, გამოცემლებმა და შემსწორებებმა ყურადღება მიაქციონ სასვენი ნიშნების წესიერად დასმასაც; ეხსიანდელ წიგნებში არსებული არეულია ნიშნები, ხშირად, ქვემდებარე და

*) ვი თუ ჩვენმა წიგნების გამასწორებლებმა გასწორების მაგიერ უშუესი შეცდომა შემოიტანონ ისე როგორც მკეთის ტაძრის ძველ სახურავს დაეპარათ!..



შესვენილი ერთმანეთისგან გაყოფილ არიან მძიმით, ან წერტილით; ხშირად სრლი მარტივი და ცხადი აზრი გაუგებარია სასვენ ნიშნების უწყსოდ დასმისგან; ამ ვარემოებამ, შეიძლება, ბევრი გამოუცდელი მკითხველი დიდს ეჭვში შეიყვანოს ქართული წიგნების თარგმნის ღირსების შესახებ. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს დიდი ასოების წესიერ ხმარებასაც.

შემასწორებელნი იმასაც უნდა ეცადნენ, რომ გაადვილებულ იქმნას ახლად გამოცემულს წიგნებში ხუცურის კითხვა. კითხვის გაადვილება შეიძლება ჩვენი აზრით, ზოგიერთი მცეტი ასოების სრულიად განდევნით ხუცური ანბანიდან ამ წიგნებში; მცტ ასოებად ჩვენ ვგვლით ასოებს უ, ზ, ძ, ვ; ეს ასოები დიდი ხანია განდევნილ არიან მხედრული ანბანიდან, რადგანაც ზოგნი მათგანნი, მაგ. უ, ზ, სულ აღარ იხმარებიან ლაპარაკში; ესლა ყველა კითხულობს, სწერს და ლაპარაკობს „ჩვენ“ და არა „ჩუჰნ“ „მღვეღელი“ და არა „მღუღელი“, „ყვედი“ და არა „ყუღვილი“. შემდეგი კიდევ, ძ, და ვ არ არიან საქირონი, რადგანაც მათით გამოხატული ხმა სხვა ასოებითაც კარგად უნაჭეულად და ცხადად გამოითქმინან; ხოლო თუ ის ასოები არ გამოითქმინან, რალა საქიროა მათი დაბეჭდვა? ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ასოს „ჰ“ ხმარებას ზოგიერთ სიტყვებში, მაგ. „ჰურიან“; ესლა აღარაფერ ამბობს ჰურია, არამედ ურია.

ურთგო არ იქნება, რომ კითხვის გასაადვილებლად, ქარაგმებიც მოისპოს ვარდა იმ სიტყვებისა, რომლებიც ყველა წაიკითხავს ქარაგმინათაც, მაგ. დმერტი, უფალი, წმიდა, ყოვლად წმიდა, ჯვარი, ქრისტე და სხვა.

წესიერი იქნება, რომ წიგნების შემასწორებელი კომისიის წევრებმა გახეთის საშუალებით აუწყონ საზოგადოებას, რომელს წიგნში, რომელს ლოცვას როგორ ასწორებენ, ეს საქმე ეროვნულია!*)

ს. ზ.

*) არ ვგვერა, რომ ასე დაიმკირონ თავი გამასწორებლებმა... განსვენებული მაკარი არხიმანდრიტი დაბადების გამასწორებელი დავითნის კორექტურას ასწორებდა. დაბეჭდილი იყო: „და ყმებოდიან ვითარცა ძაღლინი“. გაასწორა ასე: „და ყმებოდიან ვითარცა ძეღლინი“. ეს შეცდომა რომ შენიშნეს ბრძანა: თქვენ სცდებოდით, ძეღლინი არის და არა ძაღლინი. ძაღლს რა უნდა საძიროთა წერილში?! დაბეჭდეს და კითხულობდნ ასე შემცდარად. ამიტომ „გამასწორეს“ ასე კარგად ახლად დაბეჭდილი დაბადება 1885 წელსში ამისთანა გამასწორებლებმა..

**როგორ დღესასწაულოვან ქრისტეს შობას
გამგანიავი.**

გერმანია, ინგლისი და ამერიკა თითქმის ერთად ერთი ქვეყნება სადაც ქრისტეს შობას დიდს დიდებით დღესასწაულობენ.

გერმანიაში კი ქრისტეს შობა უპირველესი დღესასწაულია. 25 დეკემბრის ორი თვის წინად იწყება მზადება; ყოველი გერმანელი კაცი თუ ქალი ეგრეთვე ბავშვები სიხარულით მოელოან დღესასწაულის მოახლოებას და ფულს აგროვებენ ამ დღისათვის. დიდი ქალაქების მაღაზიები გაესილია საშობაო სავაჭროთი, ამ დროსთვის ყოველი საქონელი გაიფუფუნა, რადგან მყიდველი ძალიან ბევრია. შობის ორი კვირის წინად ყოველ დიდ ქალაქში იმართება ბაზრობა, სადაც ყოველი საქონელი ყიდვა შეიძლება. ეგრეთვე ქალაქის მოედანზე ყიდიან ნაძვის ხეებს. რაც თან-და-თან ახლოვდება 25 დეკემბერი სიცოცხლეს მცეტი აჩქარება ეტყობა, ქუჩები ხალხით სავსეა, დატვირთული მიდიან სახლისკენ ნაშაქრის შემდეგ და სიხარულით უბრწყინავს ხეხეები.

აგრე დადგა 24 დეკემბერი, ქალაქში არა ჩვეულებრივი მოძრაობაა, დუქნები საშობებით და ელექტრონით გაჩირაღებულთა, ყოველ დუქანში შობის ხე სდგას და საჩუქრებით და ზიზილ-პიპი-ლებით არის შემკული. ამ საღამოს წმინდა საღამოს ეძახიან. 8 საათის შემდეგ ქუჩაში მოძრაობა სწყდება, დუქნები და კერძო დარბაზებულები იკეტება. 4 საათიდან ყველა ეკლესიაში იღება და ზარის ჩიკვა იწყება, ხალხი ეკლესიისაკენ მიეშურება, სადაც მშვენიერი ვალოზა და მუსიკა ატკობს მათ სმენას. შემდეგ ყველანი სახლებისკენ მიეშურებიან.

ამ დროს ყოველი გერმანელი ცდილობს სახლში იყოს. შვაღელი სხვა ქალაქებიდან მოდიან დღე-მამასთან სამშობლოში. რკინის გზა ამ დღეს გახურებულ მოძრაობაში და მატარებლები დატვირთული მიმოდიან, როგორც ხალხით ისე საქონლათა. საქმე იმაშია, რომ აქ ჩვეულებათ აქვსთ ერთი-ერთმანეთისთვის ყუთებით საჩუქრების ვაგზავნა. და რასაკვირველია ყველა იღებს და აგზავნის საჩუქარს. ამ ნიარად შობის წინა დღით საღამოს 10 საათზე ყოველ სახლში ოჯახის წევრები გარს უხებდნ გამჩირაღებულ შობის ხეს და საერთოდ ვალობენ:

რეღ.




F/12645



„წინდა დამე, წინა დამე“..... როდესაც ამ სავალობელს სამჯერ შესარულბენ დაიწყება საჩუქრების განაწილება, რაშიდაც მოზრდილობიკ მონაწილეობას იღბენ. შემდეგ დაჯდბიან ვახშით და მიოლხენენ. ასეთივე ხეგბია ვაწყობილი თვით 25 დეკემბერს დიდ რესტორანებში, სადაც ათასობით იყრიან ხალხი თავს და მზიარულობს, მუსიკა უკრავს და ხალხიც თან დამდერის. საშობათო განსაკუთრებული საქმელებიკ აქვთ, მაგალითად „ქრისტეს ქადა“ („Chrnosti sfollen“) 25, 26 და 27 დეკემბერს სულ გამბული ღხინია, მხოლოდწწესიერი, რასაკვირველია; თვატრებში სპეციალური საშობათო წარმოდგენებია ქრისტეს ისტორიიდან. ამას გარდა ერთი ჩვეულება აქვთ, რომელიც ჩვენსას ვაგს,—24 დეკემბერს დაწოლის შემდეგ ბავშვების ფესამცლებს ბუხართან დალაგებენ და საჩუქრებით ვავსებენ და მგრმე ბავშვებს ეტყვიან „საშობათ ბიჭამ“ მოვიტანათ. („Veinachts Oskel). ახალ წელიწადს ისე არ უქმობენ, როგორც შობას.

ქართველი



სამღვდელოების დეპუტატთა კრება თფლისში.

13 რიცხვს დეკემბრისთვის, სასინოდო კანტორის სადგომში, პრაკურორის ბინაზე, დანიშნული იყო კრება ქართლ-კახეთისა და ბაქოს ეპარქიების სამღვდელოებისა. ექსარხოსის ვანკარგულებით, კრებაზე სამ ეპარქიიდან დაიბარეს 42 დეპუტატი. აქედან 28 ქართველია, 14 რუსი და ბერძენები. არ გამოცხადდა 12 დეპუტატი. დეპუტატმა ა. ან. თოთბაძის თავმჯდომარეობით თათბირი გამართეს იმის განსახილველად, ვახსნან კრება და შეუდგენენ საქმეების განხილვას, თუ მოუცადონ არ გამოცხადებულ დეპუტატებს. ბაქოელი დეკანოზი ცნობილი იუნიკი წინააღმდეგი იყო კრების გადადებისა. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა კრება დღეისათვის გადაიდოს არ მოსულ დეპუტატების მოსაცდელად. როგორც აღვნიშნეთ, დეპუტატებმა არც კი იციან რა საქმეების განსახილველად შეიკრიბნენ. ჯერ დეპუტატებისათვის განსახილველ საქმეთა უბრალო სიაც კი არ დაუ-

რიგებიათ. საზოგადოდ კრება მეტად უცნაურ პირობებში იხსენება საქმეებთან გუცნობელობის გარდა. დეპუტატები კარ-ჩაკეთილში უნდა იხსდნენ და იმისი ნებაც კია არა აქვთ, რომ საქმეში ჩახედული მღვდლები სთათბიროს ხმით მაინც მიიწვიონ კრებაზე: კრების სადგომის წინ კრებაში, ექსარხოსის განკარგულებით, იდგნენ კანტორის მოხელენი და სიით ამოწმებდნენ დეპუტატთა ვინაობას. ზოგს უნდოდა აღეძრა საკითხი კრების კარჩაკეტილობის გაუქმებისა, პრესის წარამომადგენლებისათვის მაინც.

14 დეკემბერს კრება დაიწყო დილის 9 1/2 საათზედ. თავმჯდომარემ კრებას გააცნო ექსარხოსის რეზოლუტია. როგორც აღვნიშნეთ, განსახილველ საგანთა სიის მეორე მუხლი შეეხება სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულს ენაზე სწავლას, როგორც ამ საკითხის, ისე, სხვა საკითხების განხილვის დროს მეტად პირთა მოწვევის შესახებ კრების დადგენილებას ექსარხოსმა უარი უყო იმ მოსაზრებით, რომ 1906 წ. სამღვდელოების დეპუტატების მიერ ამოჩრეულ კომისიას ამ საგანზე ვრცელი მოხსენება აქვს შემუშავებული და მეტად პირნი საქირონი აღარ არიანო. კომისიას თავის მოხსენებაში სავალდებულოდ უტყენია სამშობლო ენა სასწავლებლებში, მაგრამ სინოდს გადაუწყვეტია: სამღვდელოებას მიეცეს ნება ქართულად მოაწყოს სწავლა სასწავლებლებში, მხოლოდ საქირო ხარჯი თითონ იკისროს. ვინც რუსულის საშუალებით სწავლას მოისურვებს, მათთვის ფული ხაზინიდან გადაიდოსო.*) დადგენილება კრებისა, დეპუტატებს სახარჯო ფული სანთლის ქარხნის თანხიდან მიეცესო, ექსარხოსის უარ უყვია ქარხნის შემოსავალი სავანმანათლებლო საქმეებს უნდა ხმარდებოდესო. ჯავახეთ-ახალციხის საბლოლონიოს დეპუტატს კანდელაკსაც არ დართო ექსარხოსმა ნება კრებაზე მონაწილეობის მიღებისა, ჯავახეთ-ახალციხის ქართველ სამღვდელოებას დეპუტატად აურჩევია ბლ. მ. კაპანაძე, ხოლო იმის კანდიდატად მლ. კასრაძე, ექსარხოსის კანცელარიას მარტო მ. კაპანაძე მოუწვევია და იმას კი

*) სინოდს გონია რომ სემინარიის და სასწავლებლის ხარჯის ფულები ვითომ ხაზინის არის და არა საქართველოს სამღვდელოების.

ავადმყოფობით მოსვლა არ შესძლებია. კანცელარიას დაუვალბია აღნიშნულ დებუტატისათვის, თავის მაგივრად გამოგზავნოს წარსულ კრებაზე მყოფი წარმომადგენელი მღ. კანდელაკი, 12 დეკემბერს კანდელაკი კრებაზედ არ შეუშვეს და მოსთხოვეს რწმუნების ქაღალდი. როცა მღ. კანდელაკმა ექსარხოსს მოაგონა იმისი განკარგულება დებუტატად გამოწვევისა, ექსარხოსმა მიიწვინება არ დართო და უთხრა, ჩემის ნებით კრებაზე რომ ვაგიშვა, იტყვიან—მათვრობის მიერ შედგენილი კრებააო. თუ დებუტატთა კრება მიგიდებს, მე წინააღმდეგი არ ვიქნებიო. დებუტატებმა მიიღეს მ. კანდელაკი; მაგრამ ექსარხოსმა მიიწვინა არ დაამტკიცა.

